პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1977 სამშაბათი 29 მარტი № 73 (16810) ფასი 2 კაპ. 1977

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ახალი წარმატებებისათვის — საოქტომბრო შეჯიბრების!

ქალაქ მოსკოვის წარმოების მოწინავეებისა და ნოვატორების კრების მონაწილეებს, დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისა და ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორებს

ძვირფასო ამხანაგებო!

გულითადად მოგესალმებით თქვენ, მოსკოვის წარმოების მოწინავეებისა და ნოვატორების კრების მონაწილეებს, დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისა და ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორებს.

სახელოვანი სამჭოთა ტრადიციაა რევოლუციური წლისთავების აღნიშვნა ახალი მიღწევებით ეკონომიკაში, შრომითი მიღწევებით მეცნიერებასა და კულტურულ ცხოვრებაში, რომლებიც ხელს უწყობს ჩვენი საზოგადოების დინამიკურ განვითარებას. იგი უკავშირდება პირველ კომუნისტურ შაბათობებს, მოსკოველ მუშათა „დიდ თოსნობას“.

მოსკოველები ბევრი პატრიოტული თოსნობის ინიციატორები არიან, უჩვენებენ სამეურნეო ამოცანათა გადაწყვეტისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულების, მეათე ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის, სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში მიზანდასახულობისა და გერგილიანობის მაგალითს. და ეს დიდ კმაყოფილებას იწვევს.

სამშობლოს ეკონომიკური ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის ქმედითი ზრუნვით არის ნაკარნახევი დედაქალაქის მოწინავე მუშათა ვალდებულებანი, რომლებმაც გადაწყვიტეს ტექნიკისა და ტექნოლოგიის სრულყოფის, შრომითი დანახარჯების შემცირების გზით ოქტომბრის იუბილესათვის შეასრულონ ხუთწლედის ორი და მეტი წლის დავალებანი, ხოლო მისი დამთავრებისათვის — ორი-სამი პირადი ხუთწლიანი გეგმა. ეს თოსნობა მთელი მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხისათვის საყოველთაო-სახალხო მოძრაობაში დიდმნიშვნელოვანი წვლილია. ამ შეჯიბრებით შობილი ამხანაგური მხარდაჭერა და საერთო შრომისათვის ურთიერთპასუხისმგებლობა შესანიშნავ ნაყოფს იძლევა ეკონომიკასა და აღზრდაში!

სკკპ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს რწმენას, რომ მოსკოვის მშრომელები წარმატებით განახორციელებენ სოციალისტურ ვალდებულებებსა და შემხვედრ გეგმებს, ხოლო პატრიოტულ ინიციატივას — ოქტომბრის იუბილე აღნიშნონ შრომითი საჩუქრებით, უზრუნველყონ ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულება — მილიონობით საბჭოთა ადამიანი გამოეხმაურება.

გისურვებთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, დედაქალაქის ყველა მშრომელს ახალ წარმატებებს საოქტომბრო შეჯიბრებაში, დიდ შრომითს გამარჯვებებს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ლ. ბრეჟნევი.

ლ. ი. ბრეჟნევი და ა. ა. გრომიკო ესაუბრნენ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს ს. ვენსს

28 მარტს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო ესაუბრნენ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს ს. ვენსს.

მათ ერთმანეთს გაუზიარეს აზრი საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის პრინციპულ საკითხებზე. საბჭოთა მხარემ აღნიშნა, რომ მზად არის — იმდენად, რამდენადაც მზად არის ამერიკის შეერთებული შტატები, — გამომძებნოს ორმხრივი ურთიერთობისა და საერთაშორისო პრობლემების მოწესრიგების საკითხთა ურთიერთმისაღები გადაწყვეტები, განუხრელად იაროს წინ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში წინა წლების მანძილზე მიღწეული პროგრესის გზით. ამავე დროს ჯეროვანი შეფასება მიეცა ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის იმ მომენტებს, რომლებიც არ ეთანხმება თანასწორობის, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობისა და ურთიერთსარგებლიანობის პრინციპებს, რომელთა დაუცველად შეუძლებელია ორი ქვეყნის ურთიერთობის კონსტრუქციული განვითარება.

ს. ვენსმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას განზრახული აქვს გაანავრძოს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის პოზიტიური განვითარების კურსი და ეძებოს გზები ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხებზე შესათანხმებლად.

საუბარს დაესწრნენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ა. თ. დობრინინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. მ. ალექსანდროვი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გ. მ. კორნიენკო; ამერიკის მხრივ — ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი სსრ კავშირში მ. ტუნი, განიარაღებისა და შეიარაღებისადმი კონტროლის საკითხთა დირექტორი პ. უორნკე და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილე ფ. ჰაბიბი.

საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკება

28 მარტს კრემლში მოლაპარაკებას განაგრძობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ს. ვენსი.

განიხილეს საკითხები თუ როგორ შეიმუშაონ ახალი შეთანხმება სტრატეგიული, შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ იმ მორიგების საფუძველზე, რომელსაც 1974 წლის ნოემბერში მიაღწიეს ვლადივოსტოკში შეხვედრისას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. ფორდმა. (საკდესი).

ა. ნ. კოსიგინი მოსკოვში დაბრუნდა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი 26 მარტს მოსკოვში დაბრუნდა ფინეთიდან, სადაც მეგობრული ვიზიტით იყო ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის უ. კეკონენის მიწვევით.

აეროდრომზე ა. ნ. კოსიგინს შეხვდნენ თ. დ. კულაკოვი, დ. თ. ბუტინოვი, ა. თ. კატუშევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ა. ტიხონოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, სსრ კავშირის მინისტრები, სხვა ოფიციალური პირნი. (საკდესი).

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის კატეგორიულად

28 მარტს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ საუზმე გამართა ამერიკის შეერთებული შტატების ადგილმწყობი მდივნის ს. ვენსის პატივსაცემად.

საუზმეზე იყვნენ: ამერიკის მხრივ — ს. ვენსის თანმხლები პირნი; საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლ. ვ. სმირნოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. მ. ალექსანდროვი, მთელი რიგ უწყებათა სამინისტროთა ხელმძღვანელები.

საუზმის დროს ა. ა. გრომიკომ და ს. ვენსმა სიტყვები წარმოთქვეს. (საკდესი).

ხუთწლედის ადამიანები

ახალგაზრდული ბრიგადა შეჯიბრების ავანგარდშია

თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ ბორის ძნელაძის სახელობის კომკავშირულ-ახალგაზრდულმა ბრიგადამ დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად გადაწყვიტა 7 ნოემბრისათვის შეასრულოს ხუთწლედის ორი წლის დავალება. ამჟამად ბრიგადა მაისის ანგარიშში შრომობს.

სურათებზე: ზემოთ — ბორის ძნელაძის სახელობის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის წევრები (მარცხნიდან): მქსოველები მარგო კიწმარაშვილი, მარინე ნანობაშვილი, ბრიგადირი სერგო ბარამიძე და მქსოველი ნადეჟდა ბიწაძე. ქვემოთ — მქსოველი, კომუნისტური შრომის დამკვრელი ნაირა ქვრივიშვილი.

ფ. ეგინოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად წარმოების ორგანიზაციისა და მუშაობისა და ტექნიკური მოწყობილობის მიწოდების საქმეში ქიმიური და ნავთობგაზის მანქანათმშენებლობის სამინისტროს მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის სამინისტრო, რომელიც ასრულებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას ქიმიური, ნავთობგადამუშავებელი, გაზის, მიკრობიოლოგიური და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის შემდგომი განვითარების შესახებ, დიდ მუშაობას ეწევა, რათა აღნიშნული დარგების საწარმოებსა და მშენებლობებს კომპლექტურად მიაწოდოს თანამედროვე დიდმწარმოებლური ტექნოლოგიური ხაზები, დანადგარები და აგრეგატები. ეს მნიშვნელოვნად აჩქარებს მოწყობილობის დამონტაჟებას და საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედებას.

შემკვეთებთან, სამშენებლო და მანქანათსაშენებელ სამინისტროებთან მჭიდრო თანამშრომლობით ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის სამინისტრო, როგორც მოწყობილობის გენერალური მიმწოდებელი, მანქანათმშენებლობაში პირველია, რომელიც მშენებლობებს აწვდის ძირითადი ტექნოლოგიური პროცესებისათვის მაღალი საქმიანი და სამონტაჟო მზაობის მთლიანად დაკომპლექტებულ მოწყობილობას, მათ შორის აპარატებს, მექანიზმებსა და ხელსაწყოებს, რომლებსაც სხვა სამინისტროები უშვებენ, და იკისრა პასუხისმგებლობა მოწყობილობის ამ კომპლექსების ტექნიკური დონისათვის, ხარისხისა და საიმედოობისათვის.

ობიექტებზე, რომლებიც კომპლექტურ ტექნიკას იღებენ, მშენებლობა წარმოებს უფრო ორგანიზებულად და სწრაფად, სამონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობა მცირდება, საწარმოო სიმძლავრენი მწყობრში დგება ნორმატიულ ვადებზე ადრე. კომპლექტური მიწოდების საშუალოწლიურმა ეკონომიკურმა ეფექტმა 1971-1975 წლებში წარმოებათა ვადამდე ამოქმედებისა და დამატებითი პროდუქციის გამოშვების გათვალისწინებით ასობით მილიონ მანეთს მიაღწია.

მეცხრე ხუთწლედის მანძილზე სამინისტრომ მიაწოდა დიდძალი კომპლექტური ტექნოლოგიური ხაზები, აგრეგატები და დანადგარები. ამ მოწყობილობის ბაზაზე ამოქმედდა ახალ სიმძლავრეთა მნიშვნელოვანი ნაწილი მინერალური სასუქების მრეწველობასა და ცელულოზა-ბუმაგიანი კონცენტრატების წარმოებაში, ნავთობისა და ბუნებრივი გაზის გადამუშავებისათვის. მეათე ხუთწლედში კომპლექტური, ქიმიური და ნავთობის მოწყობილობის მიწოდების მოცულობა თითქმის 1,8-ჯერ უნდა გაიზარდოს.

ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის სამინისტროს კომპლექტურ მიწოდებაზე გადასვლამ აამაღლა დარგის გაერთიანებების, საწარმოებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების პასუხისმგებლობა საწარმოო გეგმებისა და დავალებების დროული და ხარისხიანი შესრულებისათვის, საშუალება მისცა უკეთ გამოეყენებინა წარმოების რეზერვები და დარგობრივი მეცნიერების შესაძლებლობები. ახლა უფრო სრულად იტვირთება უნიკალური ლითონდასამუშავებელი მოწყობილობა, გაღრმავდა წარმოების სპეციალიზაცია, გაიზარდა მანქანების, დანადგარებისა და ტექნოლოგიური ხაზების კონსტრუქციათა შემუშავების მეცნიერული დონე, ბევრ ნამუშევარს ამ დარგში სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიები მიენიჭა.

ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის სამინისტროს ქარხნებს, სამეცნიერო-კვლევითნა და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებს კომპლექტური მოწყობილობის წარმოების განვითარებაში აქტიურად უმეტრენ მხარს და ეხმარებიან პარტიის მოსკოვის საქალაქო და საოლქო, ლენინგრადის, სვერდლოვსკის, სუმის, პენზის, უდმურტეთის, გორკის, ვოლგოგრადისა და სხვა საოლქო, ბევრი ხაქალაქო და რაიონული კომიტეტი.

ტექნოლოგიური მოწყობილობის ცალკეული მსხვილი კომპლექსების მიწოდების პრაქტიკა დანერგილია აგრეთვე მძიმე და ენერგეტიკულ მანქანათმშენებლობაში. ამასთანავე ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის სამინისტროს და ხხვა სამინისტროების გამოცდილება სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების მშენებლობებისა და საწარმოების ტექნიკით დაკომპლექტების პროგრესული მეთოდის გამოყენების საქმეში ჯერ კიდევ ხათანადოდ არ გავრცელებულა.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის სამინისტროს დადებითი გამოცდილება კომპლექტური მოწყობილობის წარმოების ორგანიზაციისა და მშენებლობისათვის მიწოდებისა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ გამოცდილების ფართოდ გამოყენება ხელს შეუწყობს იმ ამოცანის გადაწყვეტას, რომელიც პარტიის XXV ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა დასახა მშენებლობის ვადების შემცირებისა და ხარისხის გაუმჯობესების კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ამაღლების დარგში. მშენებარე და სარეკონსტრუქციო სამრეწველო საწარმოებისათვის, სსრ საოლქო-სამეურნეო წარმოების ობიექტებისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებისათვის მანქანათმშენებლობის სამინისტროების მიერ დიდმწარმოებლური ტექნოლოგიური მოწყობილობის კომპლექტური მიწოდება მშენებლობაში სამუშაოთა ორგანიზაციის სრულყოფისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია.

დადგენილება ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის სამინისტროს, ამ დარგის საწარმოებისა და გაერთიანებების, სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო ორგანიზაციების კოლექტივებს ავალებს მეათე ხუთწლედში უზრუნველყონ მოწყობილობის კომპლექტური მიწოდების მოცულობათა შემდგომი გადიდება, მთელი ყურადღება დაუთმონ ახალი პროგრესული მანქანებისა და აპარატების შექმნას და გამოშვების ათვისებას, ტექნოლოგიური ხაზების, აგრეგატებისა და დანადგარების ტექნიკური დონის, ხარისხისა და საიმედოობის ამაღლებას.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მანქანათმშენებლობის სამინისტროებსა და უწინარეს ყოვლისა ძძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტროს, ენერგეტიკული მანქანათმშენებლობის სამინისტროს, საგზაო მანქანების მშენებლობის სამინისტროს, მეცხოველეობის მანქანათმშენებლობისა და მსუბუქი და კვების მრეწველობის მანქანათმშენებლობის სამინისტროს უჩია ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის სამინისტროს გამოცდილების საფუძველზე, მოწყობილობის შემკვეთების, სსრ კავშირის საომნტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტროს, სამშენებლო და მანქანათმშენებლობის სამინისტროების მონაწილეობით შეიმუშაონ და განახორციელონ მაღალი საქარხნო და სამონტაჟო მზაობის თანამედროვე კომპლექტური ტექნოლოგიური მოწყობილობის მიწოდების ორგანიზაციის ღონისძიებები.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, სამინისტროებმა, გაერთიანებებმა, საწარმოებმა, მშენებლობებისა და ინსტიტუტების პარტიულმა კომიტეტებმა და პარტიულ ორგანიზაციათა ბიუროებმა ქმედითი კონტროლი დაუწესონ კომპლექტური მოწყობილობის წარმოებისა და მიწოდების დავალებათა შესრულებას, გაავრცელონ ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის დარგის გამოცდილება ამ საქმეში. აღზარდონ კადრები აღნიშნულ ამოცანათა შესრულებისადმი შემოქმედებითი და პასუხისმგებლური დამოკიდებულების სულისკვეთებით. ამასთან გაითვალისწინონ, რომ მოწყობილობის კომპლექტურ მიწოდებათა ორგანიზაციის სრულყოფა ხელს უწყობს არა მარტო კაპიტალური მშენებლობის ეფექტიანობის ამაღლებას, არამედ წყვეტს კიდეც მშენებელთა და მემონტაჟეთა შრომის პირობების გაუმჯობესების სოციალურ პრობლემას.

16 აპრილს კომუნისტური შაბათობაა

თაოსნობის პასუხად

თბილისი. („კომუნისტის“ კორრ.). მოსკოველთა პატრიოტული თოსნობის პასუხად დედაქალაქის ტყავსაგალანტერეო ფაბრიკის (დირექტორი თ. ნინუა) კოლექტივმა გადაწყვიტა მაღალნაყოფიერი შრომით აღნიშნის კომუნისტური შაბათობის დღე.

16 აპრილს საწარმო ჩვეულებრივ მთელი დატვირთვით იმუშავებს. კოლექტივის წევრთა ძირითადი ნაწილი შაბათობის დღეს სამუშაო ადგილებზე გაატარებს. ისინი ამ დღეს 15 ათასი მანეთის პროდუქციას გამოუშვებენ და ხუთწლედის ფონდში 5 ათას მანეთს გადარიცხავენ.

ფაბრიკის ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, მოსამსახურეები დაასუფთავებენ და გაამწვანებენ საწარმოს, და მის ახლომახლო ტერიტორიას, შეაგროვებენ ჯართს.

□

ზეგეგმიური მილიონი

ქუთაისი. (საკ. კორ.). **ქუთაისის მრეწველობის მუშაკებმა იაბრეს ერთსულოვანი მონაწილეობა მიიღონ ლენინური შაბათობაში და აწარმოონ 1 მილიონ მანეთამდე ზეგეგმიური პროდუქცია.**

ქალაქის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებში ფართოდ გაიშალა მოსამზადებელი მუშაობა ლენინური შაბათობის დღის ორგანიზებულად მოწყობისათვის. ვ. ი. ლენინის დაბადების 107-ე წლისთავისა და დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ შრომის ზეიმში მონაწილეობას მიიღებს 26 ათასზე მეტი კაცი, ხუთწლედის ფონდში ჩაირიცხება 62 ათასი მანეთი, დაირგვება 10 ათასზე მეტი მცენარე.

მარტო საავტომობილო ქარხნის კოლექტივი ამ დღეს გამოუშვებს 350 ათასი მანეთის პროდუქციას, იატაკგამწვეებს, ნახევარფაბრიკატებს და სათადარიგო ნაწილებს. შაბათობის დღისათვის ნაყოფიერად ეშრომიან ტრაქტორების, ლითონფონის ქარხნის, ავტოშემის საწარმოო გაერთიანების, სამკერვალო-საწარმოო გაერთიანების „გულითის“ და სხვათა კოლექტივები.

ტყიბულის მაღაროთა სამმართველოს ანალიზური ლაბორატორიის ოსტატ-ანალიზატორ ალ. ბაბალაძეს ეკუთვნის ეკონომიკური ეფექტი 1976 წლისა 1,5 ათასი მანეთი.

ბორჯომის ტყეთმოქმედების ტყეკაფვის ბრიგადა ბ. ბერიძეს ეკუთვნის ეკონომიკური ეფექტი 1976 წლისა 1,5 ათასი მანეთი.

ბორჯომის ტყეთმოქმედების ტყეკაფვის ბრიგადა ბ. ბერიძეს ეკუთვნის ეკონომიკური ეფექტი 1976 წლისა 1,5 ათასი მანეთი.

ხორცის წარმოების გადიდება ყველას ღვიძლი საქმეა

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის წერილს ჩვენი სოფლებისა და ქალაქების მცხოვრებნი კონკრეტული საქმეებით უპასუხებენ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილს რესპუბლიკის ყველა მშრომელისადმი სოფლისა და ქალაქის მშრომელები მთელი სერიოზულობითა და გულისხმიერებით განიხილავენ, კისრულობენ ახალ გადიდებულ ვალდებულებებს. ქვემოთ ვბეჭდავთ მასალებს იმის შესახებ, თუ როგორ შეაძლთ თავიანთი საპატიო ვალილი რესპუბლიკის სოფლისა და ქალაქის მშრომელებს ხორცის წარმოების გადიდებისათვის ლაშქრობაში.

საზოგადოებრივიც, პირადიც..

140 ათასი ტონა ხორცისათვის ლაშქრობაში ალდგომელი სოფლის მშრომელები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ. წლის ბოლომდე ინდივიდუალური სექტორიდან სულ ცოტა 60 ტონა ხორცს მივყიდით ქვეყანას...

ვალდებულების შესასრულებლად აქტიურად იბრძვიან სოფლის მეშრომელები. ბევრნი ცხოველმზადების პუნქტს უკვე ებარებენ გასაქანებელ პირუტყვს. ვალერიან სარაძემ კარგად ნასაქი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და ღორი მიჰყიდა სახელმწიფოს. 420 კილოგრამ ხორცში კარგი ანაზღაურებაც მიიღო.

დიდი რაოდენობით მიჰყიდეს ხორცი სახელმწიფოს პირადი მეურნეობიდან კარპო გრძელიძემ, შაგრიმა ბახტაძემ, ზაჯარია შათირიშვილმა, ვლადიმერ ძაბარაძემ და სხვებმა.

პირადი მეურნეობის მეცხოველეობა დიდი რეზერვია, ოღრამ ძთავარი მაინც საზოგადოებრივი მეურნეობაა. ჩვენმა კოლმეურნეობამ გასულ წელს მოსახლეობისაგან შეისყიდა 12 ტონა პირუტყვი. ისინი ინტენსიურ სუქებაზე გვყავდა გადაყვანილი. სადღეღამისო წონამატებამ 500 გრამს გადააჭარბა. ახლა უკვე ჩავაბარეთ ხორცკომბინატს 70 ცენტნერი მაღალი ნასუქობის პირუტყვი და 900 მანეთი მოგება მივიღეთ. მომავალში ამ წესს უფრო ფართოდ დავნერგავთ და დიდი გადაჭარბებით შევასრულებთ ხორცის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის დავალებას.

არ. ჭანკოტაძე

ზესტაფონის რაიონის კლდეეთის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ჩემი წვლილი

ჩვენი სოფლის გარშემო ტყეებში თავისუფლად შეიძლება გამოიკვების ღორი. ჩვენც ასარგებლობთ ბუნების ამ სიკეთით და ყოველწლიურად ათობით ღოროს ვასუქებთ. მე შემეძლო ღორის ხორცი ბაზარში გამეყიდა, მაგრამ ასე არ მოვიქეცი — დამამზადებელ პუნქტს ვაბარებ, ვიანაიდან ასე ხელსაყრელიც არის და წვალებაც ნაკლებია.

შარმან ჩვენმა ოჯახმა 3 ტონაზე მეტი ხორცი მიჰყიდა სახელმწიფოს და დიდძალი საზღაურიც მივიღეთ.

ამჟამად ჩვენს საკარმიდამო მეურნეობაში ათობით ღორია თავისი ნამატით. ამ ღორებს გავასუქებ და შემოდგომაზე სახელმწიფოს 2 ტონაზე მეტ ხორცს მივყიდით. მეხარია, რომ რესპუბლიკაში 140.000 ტონა ხორცის დამზადებაში ჩემმა მრავალრიცხოვანი ოჯახის წვლილიც არის.

მ. ოთარაშვილი,

თიანეთის რაიონის ახალსოფლის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

40 ტონას მივყიდით

სოფელში მცხოვრებ ყოველ ოჯახს მრავალდარგოვანი პატარა მეურნეობა უნდა ჰქონდეს. თუ კაცი უნარიანად გაუძღვება მას და შრომას არ დაიზარებს, აუცილებლად შექმნის ნამეტ პროდუქტს და საკუთარ წვლილს შეტანა მშრომელთა ხორცით უზრუნველყოფის საქმეში.

ყურადღების გამახვილება საკარმიდამო მეცხოველეობის განვითარებაზე დროული დონისძიებაა და ხორცის წარმოების ერთ-ერთი დიდი რეზერვია. პირადად მე მხარს ვუჭერ ამ წამოწყებას. წელს სახელმწიფოს უკვე მივყიდე 400 კილოგრამამდე ღორის ხორცი. ვაგზრდი ღორებს და წლის ბოლომდე კიდევ ერთ ამდენ ხორცს ჩავაბარებ სახელმწიფო დამზადების პუნქტს. ამ წამოწყებას აქტიურად გამოეხმაურნენ ჩემი ძეზობლებიც. **მიხეილ გავაშელაშვილმა** ამ დღეებში 280 კილოგრამიანი მსხვილფეხა პირუტყვი მიჰყიდა სახელმწიფოს, წლის ბოლომდე კიდევ 200 კილოგრამს მიჰყიდის. **დიმიტრი რობაქიძემ** და **უშანგი ჭარქაშაძემაც** ორას-ორასი კილოგრამი ღორის ხორცი აწარმოეს, წლის ბოლომდე უფრო მეტს ვაბარებიან.

საერთოდ ლვანკითის სასოფლო საბჭოს მეცხოვრებლებმა გადავწყვიტეთ ადრე ნავარაუდევი 26 ტონის ნაცვლად 40 ტონა ხორცი ვაწარმოოთ და სახელმწიფოს მივყიდოთ.

ი. ბაბარაბიონი,

თერჯოლის რაიონის სოფელ ლვანკითის მცხოვრები.

27-28 მარტი

„პრავდის“ ფურცლებზე

დროის მოთხოვნათა სიმაღლეზე რომ ვიყოთ, წერს „ზეზეთი ყვირის მეთაურში („საბჭოთა პროფკავშირები“), ღელვიადაგ უნდა სრულყოფდეთ პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის სტილს, ზუსტი პოლიტიკური მიმართულება, კონკრეტულობა უნდა შეგვეტრიფეს, ვერგილიანად, საერთო-სახალხო საქმისათვის მაღალი პასუხისმგებლობით ვეკიდებოდეთ ამ მუშაობას. და აქ განსაკუთრებით ბევრია დამოკიდებული პარტიული კომიტეტების მიერ ძირეული რგოლებისადმი ხელმძღვანელობის დონეზე, ყოველდღიურ დახმარებაზე, მათი კარგი წამოწყებების, სამართლიანი მოთხოვნების მხარდაჭერაზე.

სსრ კავშირის პროფესიული კავშირები მაღალ ეტაპებენ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშას. პარტია მოუწოდებს მათ კვლავაც გაზაეთარონ, გაკრიმონ ძმური კავშირურთიერთობა სოციალისტური ქვეყნების პროფკავშირებთან, განამტკიცონ საერთაშორისო პროფკავშირული მოძრაობის ერთიანობა, ინტერნაციონალური მეგობრობა მთელი მსოფლიოს პროფკავშირებთან და მშრომელებთან.

საბჭოთა ხალხს დიდი და რთული ამოცანები აქვს გადასაწყვეტი. ყრილობამ დამაჯერებლად ცხადყო, რომ ამ ამოცანების განხორციელებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საიმედო დასაყრდენი და აქტიური თანაშემწე იყვნენ, არიან და იქნებიან ჩვენი პროფკავშირები, მათი დევიზია — მუდამ პარტიის ბრძნული, ნაკადი ხელმძღვანელობით, მუდამ ხალხის მახეზის წიაღში, მუდამ კომუნისტური აღმშენებლობის დიადი ფრონტის წინა ხაზზე!

კიროვოგრადის მიწაზე გაზაფხული მოვიდა, აქ გაჩაღებულია მინდვრის სამუშაოები, ოლქის სოფლის მშრომელებმა ბევრი რამ უნდა გააკეთონ, რათა კარგად დაამთავრონ ბუსა, მტკიცე საფუძველი ჩაუყარონ მომავალ მოსავალს. ამას მით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს მათთვის, რადგან ბევრ რაიონში ამ ბოლო წლების მანძილზე სერიოზული ჩამორჩენაა. მიზეზები, რომლებმაც ხელი შეუშალა და დღემდე ჯერ კიდევ ხელს უშლის ოლქის მეურნეობებს წინსვლაში, ცხოვრებისეული გაკვეთილები ფრიად საგულისხმოა. მთავარი საზრუნავია გაითვალისწინონ ეს გაკვეთილები და ისწავლონ სისტემატური მუშაობა, გამოიყენონ თავისიდე გამოცდილება, თავანსიდე პრაქტიკა. სწორედ ამაზეა მოთხრობილი „კორესპონდენტ მ. ოდინეცის წერილში — „კიროვოგრადული გაკვეთილები“ (რუბრიკა — „პარტიული ცხოვრება“).

თებერვალში, „პრავდას“ ფურცლებზე დაიბეჭდა **ვილი ლიპატოვის** შენიშვნები **„გულადლილად“ „მუშური ჯავრის შესახებ“**. ამ შენიშვნებს გამოეხმაურნენ მკითხველები, რომელთა ნაწილმა არ გაიზიარა მწერლის აზრი: როგორც ჩანს, ზოგიერთს ხელს არ აძლევდა მასალის მეტისმეტი პოლემიკური სიმწვავე, ზოგს კი ის, რომ ავტორი ერთგვარად უსწრებს დროს ხე-ტყის მრეწველობის დღევანდელ აწარმოების შრომის ორგანიზაციის დონისადმი მოთხოვნებში. მაგრამ წერილები უწინარეს ყოვლისა მოწმობდა მკითხველთა უეჭველ ინტერესს ზეგობრივი პრობლემებისადმი, რომლებსაც ავტორი ეხება ნარკვევში. 27 მარტის ნომერში მწერალი კვლავ აძლევს სიტყვას თავის გმირს ხე-ტყის მრეწველობის მეურნეობის დირექტორს ა. ხუდადოკოვს („შრომის კოკერები“).

გუშინდელ ნომერში გამოქვეყნებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ის დადგენილება, რომელსაც დღეს „კომუნისტის“ ფურცელზე გავეცნობით.

რუბრიკა — **„პარტიული ცხოვრება: წერილების კვლდაკვალ“** წარმოდგენილია **ვ. ჩერეპანოვის** წერილით — **„როცა საქმის არსს არ ვწვდებით“**.

კურორტის განვითარების პრობლემაზე წერს სკკპ პიატიგორსკის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ი. ბოლდირევი — **„როგორი უნდა იყოს პიატიგორსკი?“**.

როგორც ყვირის, ისე ორშაბათის ნომრებში უხვად არის დაბეჭდილი საკავშირო და საერთაშორისო ინფორმაცია.

ПРАВДА

ბალეშის კონტროლით!

№ 122

ერთვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში

ნედლეულის დიდი რეზერვი

რესპუბლიკაში შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების შეგროვების, გადამუშავებისა და გაგზავნის ორგანიზაციაში სახელმწიფო წესრიგის დამყარების თაობაზე პარტიისა და მთავრობის მითითებათა შესრულების შემოწმების შედეგების შესახებ ინსპექტორატმა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა და ამაზე შესაბამისი დადგენილება მიიღო.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების დამზადება-ჩაბარების შარშანდელი გეგმა საერთოდ წარმატებით შესრულდა, მაგრამ ცალკეულმა სამინისტროებმა და უწყებებმა, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა ვერ უზრუნველყვეს შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების შეგროვების, გადამუშავებისა და გაგზავნის ორგანიზაციაში სათანადო წესრიგის დამყარება, დავალებათა განაღდება, ამორტიზებული მოწყობილობის და სხვა გამოუსადეგი ლითონ-ნაწარმის დროულად გამოვლინება, ჩამოწერა და ჯართად ჩაბარება. ამის შედეგად სახელმწიფოს დაკარგა 2237 ტონა შავი ლითონისა და 170,8 ტონა ფერადი ლითონის ჯართი.

საქართველოს სსრ ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროებმა ვერ უზრუნველყვეს ზემდგომი ორგანოების მითითების შესრულება მსუბუქი ავტომობილების ტექნიკური მომსახურების საწარმოთა, აგრეთვე "მსუბუქი ავტომობილების მფლობელებისაგან ნახმარი აკუმულატორების ბატარიების მიღების შესახებ. ამ მხრივ ცუდად იმუშავეს აგრეთვე თბილისის სპეციავტოცენტრმა. გარდა ამისა, რესპუბლიკური გაერთიანება „საქოფლტექნიკა" და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარმომარაგების „ელექტრომომარაგებაგასალება", რომლებიც ტყვიის ახალ აკუმულატორებს ყიდიან, არღვევენ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ინსტრუქციას ნახმარი ტყვიის დაბრუნების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა ვერ შეიგნეს ლითონის ჯართის მიწოდება-ჩაბარების დიდი მნიშვნელობა, არ მიიღეს ყველა ზომა არსებული რესურსების სრული მობილიზაციისათვის. შემოწმებით ზოგიერთ ორგანიზაციაში ლითონის ჯართის არარეალიზებული რეზერვებიც კი გამოვლინდა. მაგალითად, სოხუმის საკონდიტრო ფაბრიკამ (დირექტორი ლ. სანიკიძე) არ შეასრულა 1976 წლის საგეგმო დავალება, მაშინ როდესაც მას 5,0 ტონა შავი და 0,7 ტონა ფერადი ლითონის ჯართი ჰქონდა, ხოლო ონამჩირის ეთერ-ზეთების საწარმოო გაერთიანებამ (დირექტორი ნ. ბაგაბაში) არ შეასრულა ჯართის ჩაბარების დავალება. მას კი ამის რეალური საშუალება ჰქონდა.

ლითონის ჯართის სრული მოცულობით, აგრეთვე დაწესებული ნომენკლატურით ჩაბარებით გეგმის შეუსრულებლობისათვის შარშან 498 ორგანიზაცია 207,2 ათასი მანეთით დაჯარიმდა. მათ შორის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებელმა" ჯარიმები შავი და ფერადი ლითონის ჯართისა და ნარჩენების არასრული მიწოდებისათვის გადაიხადა 14-ჯერ 14,4 ათასი მანეთი, რუსთავის ქიმიურმა ქარხანამ შესაბამისად 10-ჯერ 11,3 ათასი მანეთი და ქუთაისის საავტომობილო ქარხანამ 5-ჯერ 13,3 ათასი მანეთი. მაგრამ ამ ორგანიზაციების, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები მაინც არ აკეთებენ სათანადო დასკვნებს, არ აანალიზებენ გეგმების შეუსრულებლობის მიზეზებს ლითონის ჯართის ჩაბარების დავალებათა შესრულების ყველა არსებული რეზერვის მობილიზაციისა და დაგეგმვის მოწესრიგების უზრუნველსაყოფად.

სახალხო კონტროლის ადგილობრივი კომიტეტები, აგრეთვე ჯგუფები ვერ ახორციელებენ სათანადო კონტროლს ლითონის ჯართის დამზადებასა და დროულად ჩაბარებაზე. სწორედ ამის გამოც იყო, რომ შარშან შავი ლითონის ნარჩენების გეგმა ვერ შესრულეს აფხაზეთის ასს რესპუბლიკამ, აგრეთვე რესპუბლიკური დაქვემდებარების 3 ქალაქმა და 22 რაიონმა, მათ გეგმას 2237 ტონა დააკლეს. ამასთან ფერადი ლითონების გეგმა ვერ შეასრულეს თბილისის ორმა რაიონმა, ქ. ჭიათურამ და რესპუბლიკის 38-მა რაიონმა, რომლებმაც გეგმას 170,8 ტონა ლითონი დააკლეს. 211 ორგანიზაციას კი საერთოდ არ მიუღია მონაწილეობა ფერადი ლითონის ნარჩენების დამზადება-ჩაბარებაში და ამით მრეწველობამ 55,4 ტონა ჯართი ვერ მიიღო.

კომიტეტმა საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის" და რუხთავის ქიმიური ქარხნის დირექტორების მოადგილეებს გ. კერესელიძეს და ხ. გუკასოვს საყვედური გამოუცხადა, ხოლო ქუთაისის საავტომობილო ქარხნის დირექტორის მოადგილის ბ. კილლიშვილის, ხოსოვის საკონდიტრო ფაბრიკისა და ონამჩირის ეთერ-ზეთების საწარმოო გაერთიანების დირექტორების ლ. სანიკიძისა და ნ. ბაგაბაშის პასუხისმგებლობის საკითხს განხილავ და ზომების მიღება სახალხო კონტროლის ადგილობრივ კომიტეტებს დავალა.

№ 122

ერთვნული ბიბლიოთეკა

ფრთაშეკვეცილი წამოწყება

რატომ გაჩუქმა დამხმარე მეურნეობა „საქნახშირის" კომბინატმა?

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეხუთე პლენუმზე ბევრი კარგი სიტყვა ითქვა რესპუბლიკის ერთ-ერთი საყოველთაო ქარხნის — დიმიტროვის სახელობის ქარხნის მიმართ. „...ქარხანას აქვს თავისი სანიმუშო, პირდაპირ შესანიშნავი დამხმარე მეურნეობა, თავისი ფერმები, რომლებიც მნიშვნელოვანწილად აკმაყოფილებს ქარხნის კოლექტივის მოთხოვნილებას ძირითადი სურსათ-სანოვაგით — ხორცით, რძით, ბოსტნეულით და, როგორც ამხანაგები ამბობენ, თევზითაც კი, — თქვენ პლენუმზე.

ასეთი ქების სიტყვები შეიძლება ცოტა ხნის წინათ ორჯონიკიძის სახელობის შახტზეც თქმულიყო. ამ მოწინავე საწარმოს კოლექტივმა ტყიბულში ერთ-ერთმა პირველმა ჩაუყარა საფუძველი დამხმარე მეურნეობას, საუკუნოვანი წაბლის ტყის გვერდით ადგა კეთილმოწყობილი მეღორეობის ფერმა, რომელიც 15 ათას მანეთამდე დაჯდა. ოთხწელიწადნახევრის განმავლობაში ფერმა კარგ, კეთილ სამსახურს უწევდა აქაურ მეშახტეებს, მუშათა სასადილოსა და ბუფეტს რეგულარულად ამარაგებდა იაფფასიანი ღორის ხორცით. მუშამოსამსახურეები ადგილობრივი წარმოების დიდძალ ხორცს იძენდნენ საბჭოთა ღიღასწაულების წინა დღეებში. გასული წლის მარტი პირველ ათ თვეში მეშახტეებს მიეყიდათ 4340 მანეთის ღორეულების ხორცი. დაარსებიდან დამხმარე მეურნეობამ აწარმოა და საზოგადოებრივი კვების. ქსელს სარეალიზაციოდ გადასცა ათეულობით ტონა ხორცი. ყოველივე ამით გაუმჯობესდა მეშახტეთა სასადილოში დამზადებული კერძის ხარისხი, გაიაფდა მისი ღირებულება, მეშახტეთა კვების, განსაკუთრებით კი დიეტური კვების გაუმჯობესებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა დამხმარე მეურნეობის დარგმა — მეფუტკრეობამ. ადგილზე მიღებული თაფლის ერთი ნაწილი ხელმისაწვდომ ფასად მიეყიდათ მეშახტეებს. ერთი სიტყვით, ალნიშნულ სიახლეთა ნაერგეგი ადგილობრივი მომხმარებელი კმაყოფილი იყო.

ყველას ეგონა, რომ ორჯონიკიძეთა ეს კარგი ინიციატივა თანდათან ფრთებს შეიხსნიდა, კიდევ უფრო გადიდდებოდა და გაფართოვდებოდა დამხმარე მეურნეობათა კომპლექსი, მოიმატებდა მისი პროდუქცია, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე როდი მოხდა.

შარშან, წლის მიწურულში, მაშინ როცა მთელი ჩვენი რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმისათვის ემზადებოდნენ, რომელსაც მეტად დიდმნიშვნელოვან საკითხზე — ეკონომიკასა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებაზე უნდა ემსჯელა, შახტის დამხმარე მეურნეობაში გამოცხადდნენ კომისიის წევრები, ლიკის მშრომელები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმისათვის ემზადებოდნენ, რომელსაც მეტად დიდმნიშვნელოვან საკითხზე — ეკონომიკასა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებაზე უნდა ემსჯელა, შახტის დამხმარე მეურნეობაში გამოცხადდნენ კომისიის წევრები, რომლებმაც ნაჩქარევად გააფორმეს აქტი, რომლითაც ფერმის ყველა ღორი მუშათა მომარაგების განყოფილების სასუქ პუნქტს უნდა გადასცემოდა. ამ უკანასკნელს ასევე ადგილობრივი პარტიული, პროფკავშირული და სამეურნეო ხელმძღვანელების მრავალი ცდა შეენარჩუნებინათ დამხმარე მეურნეობა, უშედეგო აღმოჩნდა. სულ მალე ფერმას სატვირთო ავტომანქანები მიადგნენ, რომელთა ძარაზე მოთავსებულ 49 ნეზვი, 2 კერატი, 12 ბერეკაკი და 51 გოკი. ავტომანქანებმა ფერმის ბინადარნი ჯერ ალი ასე შეეკვეცა ფრთები ორჯონიკიძის სახელობის შახტის კოლექტივის კარგ წამოწყებას, რომელიც ისახავდა კეთილშობილურ მიზანს — მეშახტეების მოთხოვნილების საკუთარი წარმოების მაღალხარისხისნი და იაფი ხორცით დაკმაყოფილებას. რაც დრო გადის, თანდათან ნადგურდება და პარტახდება ფერმის კომპლექსი, რომლის შექმნას დიდძალი მუშახელი, ენერგია და სახსრები დასჭირდა. აი, ახლა წაბლნარში დგას ფერმის შენობა და არავინ იცის რა საჭიროებისათვის გამოიყენონ იგი. ზოგიერთის აზრით, მიზანშეწონილია მისი სასათბურე მეურნეობად გადაკეთება, მაგრამ მუშათა მომარაგებამ განყოფილების სასუქ პუნქტში მიიყვანეს, მაგრამ, ვინაიდან ამ უკანასკნელს ასეთი დიდი რაოდენობის პირუტყვისათვის არც შესაფერი სათავსო ჰქონდა და, რაც მთავარია, არც საკმარ რაოდენობის საკვები, ღორების დიდი პარტია ხორცკომბინატში გაგზავნეს და დაკლეს.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ

როცა მიზანი გარკვეულია...

როცა სახალხო კონტროლის რაიონულ კომიტეტში გაიგეს, რომ გვსურდა გავცნობოდით რომელიმე მეურნეობის კონტროლის ჯგუფის მეთაურს, უპირველესად სოფელ ხაბუმის (ჩხოროწყუს რაიონი) კალინინის სახელობის კოლმეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფის ბიუროს თავჯდომარე ნოდარ ვახანია დაასახელეს.

ადგილზე ჩასვლის შემდეგ დარწმუნდით, რომ ნ. ვახანია მართლაც აქტიური და საქმიანი მუშაკია. აგერ თხუთმეტ წელზე მეტია იგი კოლმეურნეობის ეკონომისტია, უმაღლესი განათლება წარმოებისაგან მოწყვეტლივ მიიღო, ფიზიკურ შრომას არ თაკილობს.

... როცა ჯგუფის ბიურო კომპეტენტდებოდა, ნ. ვახანიამ პირველები პარტორგანიზაციის მდივანთან ერთად გულმოდგინედ შეარჩია კანდიდატურები, აირჩიეს საქმიანი ამხანაგები — სოციალისტური შრომის გმირი ნათელა შენგელია, ფერმის გამგე ჩ. ჩიქოვანი, ბრიგადირი ღ. ოჭიხოროძია და სხვები, — ისინი, ვინც საზოგადოებრივ დოვლათს ქმნის.

შედგა გეგმა, ჩატარდა რეიდები. რამდენიმე ხნის წინათ კონტროლის ჯგუფის ბიურომ ბულდასმით იმსჯელა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მომზადებისა და ჩატარებისა. ამ საკითხზე ილაპარაკეს რეიდის მონაწილეებმა ნ. ვახანიამ, ინჟინერმა გ. ჩიქოვანმა, ბრიგადირმა ღ. ბაბარიამ. პირველ და ბოლო ბრიგადებში უხარისხოდ იყო შეტანილი სასუქები ჩაის პლანტაციებში. ასევეთვე მდგომარეობა იყო ხეხილისა და ტუნგის ნარგაევებში.

კონტროლის ჯგუფი პრაქტიკულად ეხმარება ძირეულ რეორგანიზაციებში. ბიუროს წევრები მომგარებული არიან ბრიგადებზე, ფერმის ცალკეულ უბნებზე, სწავლობენ შემენილ ვითარებას, მდგომარეობას, აცნობენ გამგეობას. როცა შრომის შედეგებს აჯამებენ, ნ. ვახანია ზუსტ ეკონომიურ ანალიზებს აკეთებს, აქვს წინადადებები, რეკომენდაციები, კარგად იცის, სად რა არის საჭირო, ყველაფერში მეურნის თვალით იხედება.

კონტროლიორთა ჯგუფადღეა სისტემატურად არის ბანგამოვლილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დატვირთვის კოეფიციენტის ზრდაზე, თვითღირებულების შემცირებაზე, მატერიალური და ფულადი სახსრების რაციონალურ გამოყენებაზე და ა. შ.

ხაბუმის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფი, მისი ბიუროს ცდილობენ უფრო ღრმად ჩაწვდნენ საერთო საქმიანობას, ამამაღლონ საკოლმეურნეო წარმოების დონე.

ბ. მილიუტინი.

„კომუნისტის" ხაკ. კორესპონდენტი.

„კომუნისტის" კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

დამტაცებლები და მათი მფარველები

რედაქციას უპასუხებს პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტი.

ჩვენი გაზეთის სპეციალურ გვერდში „მასების კონტროლით" გამოქვეყნებული იყო კრიტიკული წერილი, რომელიც ცხინვალავჭრობაში არსებულ ნაკლოვანებებს ეხებოდა. ამის გამო პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტი გვწერს:

წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება. ცხინვალავჭრობაში არსებულ ნაკლოვანებათა და უხეშ დანაშაულობათა შესახებ იმსჯელა პარტიის ცხინვალის ხაქალაქო კომიტეტის ბიურომ, რომელმაც ცხინვალავჭრობის დირექტორი მ. ცხოვრებოვი გაათავისუფლა თანამდებობიდან და გამოუცხადა ხაყვედური პირად საქმეში შეტანით. მკაცრი პარტიული ხასჯელი დაედოთ აგრეთვე ცხინვალავჭრობის დირექტორის მოადგილეებს ნ. თიგიევს და ხ. შავლოხოვს. თანამდებობიდან განთავისუფლებული არიან აგრეთვე უნივერმაღის დირექტორი რ. ბეკოევი, უფროსი რევიზორი ხ. ბიბილოვი და ბუღალტერ-ინვენტარიზატორი ს. დებეევი. ხაქართველოს სსრ ფინანსთა ხალმინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილებით ხამინისტროს მუშაკები — სამხრეთ ოსეთში ხაკონტროლო-ხარეკვიზიო სამმართველოს უფროსი კ. კოტაევი განთავისუფლებულია, ხოლო რევიზორები გ. კოჩიევი და გ. ბაგლოევი გადაყენებული არიან თანამდებობიდან.

ამასთან ამ ხაკითხზე იმსჯელეს ცხინვალავჭრობის ღია პარტიულ კრებაზე და ხათანადო ღონისძიება დასახეს.

□ □

მიწერები ამხილეს

ᲯᲒᲣᲤᲘ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲨᲔᲛᲝᲓᲘᲡ

ᲯᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების სათავო საწარმოს სანალხო კონტროლის ჯგუფში სიგნალი მოვიდა — ტექნიკური წყალსადენის მშენებლობაზე, რომელსაც საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ტრესტ სპეცმშენის ქუთაისის № 22 მექანიზებული კოლონა აწარმოებს, დაფშვეს მიწერები, სისტემატურად არ სრულდება მშენებლობის დავალებები, კოლონის ხელმძღვანელობა კი არ იღებს ქმედითს ზომებს წესრიგის დამყარებისათვის.

ერთი სიტყვით, სიგნალი საგანგაშო იყო და ჯგუფმაც არ დაიყოვნა — კონტროლის საქალაქო კომიტეტს მოახსენა შემოწმების შედეგები. და აი, თავის მორიგ სხდომაზე საქალაქო კომიტეტმა განიხილა ეს საკითხი. აღინიშნა, რომ კოლონაში სისტემა საშემსრულებლო დისციპლინა, სამშენებლო ობიექტებზე ნელია მუშაობის ტემპი, დამაკმაყოფილებელი არ არის შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი. მართალია, აქ მუშახელი არ პყოფნით, მჭიდრომ ამ პირობებშიც კი მოცდენებია. აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ტექნიკური წყალსადენის მშენებლობა, რომლის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 747 ათას მანეთს შეადგენს, ძალზე ნელი ტემპით და არაგამოიერად მიმდინარეობს, გამოვლინდა შესრულებული სამუშაოს აღრიცხვის არასწორი ოპერაციები. ამ ობიექტზე მილები 2350 მეტრზე უნდა ჩაწყობილიყო, მაგრამ რაციონალიზატორუული წინადადების საფუძველზე საპროექტო ორგანიზაციის, დამკვეთისა და ლითოფორის ქარხნის ხელმძღვანელების შეთანხმებით წყალსადენის ხაზის შემოყვანა ლითოფორის ქარხნის წყალთა მომარაგების აუზიდან გადაწყდა. ამან 400 მეტრამდე შეამცირა ხაზის სიგრძე, კოლონამ კი 62360 მანეთის ეკონომია მიიღო, მაგრამ სამუშაოთა მწარმოებელმა ზ. მაჩიტიძემ და მთავარმა ინჟინერმა ზ. შენგელიამ ეს ეკონომიური ეფექტი წინასწარ უჩვენეს გეგმის შესრულებაში და ფაქტიური მაჩვენებელი 97,4 პროცენტი 100 პროცენტამდე ფიქტიურად გაზარდეს.

ახლა აქ არ ჩამოთვლით ყველა იმ ღონისძიებას, რომლებიც კონტროლის საქალაქო კომიტეტმა განახორციელა. იმას კი აღვნიშნავთ, რომ მკაცრად დაისაჯნენ კონკრეტულად დამნაშავე პირები — მთავარი ინჟინერი ზ. შენგელია და სამუშაოთა მწარმოებელი ზ. მაჩიტიძე თანამდებობიდანაც კი გადაყენეს. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტი ყოველმხრივ ხელს უწყობს და ავითარებს თავისი ძირეული ჯგუფების თვითმოქმედებასა და ინიციატივას. ამიტომაც იყო, რომ ამას წინათ სსრ კავშირის სახალხო კონტროლის საინფორმაციო ბიულეტენში განსაზღვადდა კიდეც საქალაქო კომიტეტის მუშაობის ეს გამოცდილება.

დ. გედენიძე.

ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲐ

შემხვედრი შემოწმება

შემხვედრ შემოწმებებს სახალხო კონტროლის ორგანოები იმ შემთხვევაში ახორციელებენ, როცა საჭიროა საკითხის გარკვევა არა მარტო შესამოწმებელ ობიექტზე, არამედ იმ დაწესებულებებშიც, რომლებიც ამ ორგანიზაციასთან არის დაკავშირებული.

შემხვედრი შემოწმებები ხშირად მიზანშეწონილია სასაქონლო ფულად ფასიულობათა გაცემასთან დაკავშირებული საკითხების გასარკვევად და რაიმე დარღვევის გამოსავლინებლად. ასეთ შემოწმებებს ისეთ შემთხვევებშიც აწყობენ, როდესაც გამოვლინდება „საკარად" უკანონო ოპერაციები და საჭირო გახდება სხვადასხვა პირებისა და ორგანიზაციებზე სამუშაოების და მომსახურებისათვის ფულადი ანაზღაურების სისწორის დადგენა. შემხვედრი შემოწმების ჩატარების საჭიროება შეიძლება წარმოიშვას სახმანის განაფოფილებაში, რათა დადგინდეს საბუღალტრო აღრიცხვაში ასახული ოპერაციების სისწორე. ასეთი შემოწმების მიზეზობა შეიძლება საჭირო გახდეს სხვა შემთხვევებშიც. მაგალითად, მშენებლობის გეგმების ჩაშლის მიზეზების შესწავლასა კონტროლიორების წინაშე შეიძლება წარმოიშვას საკითხი — დროულად მომზადდა თუ არა ხელირო ტექნიკური დოკუმენტაცია, ყოველივე ამის დადგენა შეიძლება საპროექტო ინსტიტუტში შემხვედრი შემოწმების ჩატარების გზით.

აუცილებელია გავითვალისწინოთ ის, რომ შემხვედრი შემოწმების დროს სახალხო კონტროლიორები სხვა ორგანიზაციებში სწავლობენ მხოლოდ შესამოწმებელი საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებულ ფაქტებსა და დოკუმენტს. ამის ცოდნა იმიტომ არის საჭირო, რომ არ დაიქსაქსოს კონტროლიორთა ძალები, ყურადღება არ ჩამოშორდეს იმ მთავარ თემას და ამოცანებს, რომლებიც მათ წინაშე დგას.

სიმართლე ხუმროვით

ᲨᲔᲣᲗᲐᲚᲘ

მგზავრობისთვის ტაქსის შოფერს

გავუწოდე ფული,
მაგრამ ხურდა რომ
მოვთხოვე,
მოუვიდა გული:
— თვალი ფართოდ გაახილე,
კარგად თუ ვერ ხედავ,
ავტობუსი ხომ არ არის,
რა ხურდას მთხოვ, ნეტავ?!

□

ᲗᲔᲗᲠᲘ

კაცს შეიჩვევს და
მაცდურ მოხიბლავს,
ხოლო მერე კი უმუხთლებს
ხელად,
ცხვირს აწითლებს და
სახელს ამაევებს,
თუმცა თვითონ კი თეთრია
ფერად.

□

ᲝᲥᲠᲝᲡᲤᲔᲠᲘ

ოქროსფერი სითხე გახლავს,
კათხას თავზე ადგას ქოფად,
მუდამ ნიხრზე მეტად
ფასობს,
სახელს თვითონ იტყვი
სწრაფად.

□

ᲙᲘᲜᲝᲨᲘ

მის უკან მჯდომ მაყურებელს
მეუბრუნდა გრეტა:
— ჩემი შლაპის ფრთები
ცქერას
ხომ არ გიშლით ნეტავ?
— არა, უკვე წავაკერი
და მშვენივრად ვხედავ.

□

ᲛᲝᲥᲐᲛᲔᲚᲘ....

ერთი კინორეჟისორი
ეკითხება ავტორს:
— გააღრმავე ის სცენარი,
ამხანაგო პლატონ?
და პასუხად მეედიური
ბარიტონი ისმის —
შახტში გადავიტანეთ
მოქმედება მისი.

შ. ამირანაშვილი.

ᲙᲐᲠᲘᲙᲐᲢᲣᲠᲘᲡᲢᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲘᲗ

— აბა, კა, გაამზადე თუმნიანი!

ᲥᲕᲚᲐᲕᲘᲜᲓᲔᲑᲣᲠᲐᲓ არის გავრცელებული ფაქტები, რომ საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუშაკებს პირდაპირ სძალავენ ფულს იმისათვის, რომ მიუტანონ ფონდებით გამოყოფილი საქონელი, დროზე მიაწოდონ პროდუქცია სავაჭრო ქსელს.

ᲮᲝᲠᲪᲘᲡᲐ და რძის მრეწველობის საწარმოთა მუშაობაში ჯერ კიდევ ბოლომდე არ აღმოფხვრილა ხარისხობრივი მაჩვენებლების დამახინჯების, პირუტყვისა და რძის ჩამბარებელთა მოტყუების შემთხვევები, სხვა სერიოზული დარღვევები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის მასალებიდან.

ᲝᲘᲜᲑᲐᲖᲝᲑᲐ ᲑᲐᲖᲐᲨᲘ.

მხატვარი გ. ლომაძე.

ᲩᲕᲔᲜ ᲓᲐ ᲑᲐᲠᲔᲛᲝ

წყალსატევები რომ სუფთა იყოს

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲗ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ ᲨᲐᲠᲨᲐᲜ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ ავტომობილთა საბჭომ შარშან მიიღეს დადგენილება „შავი და აზოვის ზღვების აუზების გაჭუჭყიანების თავიდან აცილების შესახებ". ამის შესაბამისად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული დადგენილებით რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებსა და ორგანიზაციებს დაეკალათ შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს იმას, რომ 1985 წლისათვის მთლიანად შეწყდეს გაუწმენდავი, საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ჩამდინარე წყლების ჩაშვება შავი ზღვის აუზის მდინარეებსა და მის ხანაპირო წყლებში.

ამ ამოცანებისა და დავალებების გადასაწყვეტად ჩვენს რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი მუშაობა მიმდინარეობს. მაგრამ როგორც საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის მიერ ამასწინანდელი შემოწმებით გამოირკვა, რომ ამ საქმეში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია.

დამაკმაყოფილებლად არ სრულდება საკანალიზაციო და საწმენდ ნაგებობათა მშენებლობისა და საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმები, ეფექტიანად არ მუშაობს მოქმედ გაწმენდილ ნაგებობათა და დანადგართა უმრავლესობა. ჩამდინარე წყლების გაწმენდისათვის ჩატარებული ღონისძიებანი საგრძნობლად ჩამორჩება სამრეწველო, სამოსნო, სასოფლო-სამეურნეო და სანიტარულ-საკურორტო მშენებლობას, რესპუბლიკაში კანალიზაცია მხოლოდ 25 ქალაქსა და რაიონის ცენტრს აქვს, ჩამდინარე წყლების მექანიზებული გაწმენდა კი მხოლოდ 10 ქალაქსა და რაიონცენტრში ხდება. ამასთან სამწუხაროა ის, რომ მოლიანი ბიოლოგიური გაწმენდა არსად არ ხორციელდება.

ასეთი მდგომარეობის ერთ-ერთი მიზეზია გამწმენდ და საკანალიზაციო ნაგებობათა მშენებლობისათვის კაპიტალური დაბანდებების არასწორი დაგეგმვა, ობიექტებზე სახსრების გაფანტვა, საკანალიზაციო ნაგებობათა მშენებლობების „გაჭიანურება. ისიც აღსანიშნავია, რომ ბევრგან მზა კანალიზაციის კოლექტორები გამწმენდ ნაგებობათა მშენებლობის დაუმთავრებლობის გამო წლების მანძილზე უმოქმედოდ დგას, რაც მათს დაზიანებასა და. მწყობრიდან გამოსვლას იწვევს. მაგალითად, ქალაქ სოხუმის კანალიზაციის ქსელები და კოლექტორები გეგმის მიხედვით შარშან უნდა ამუშავებულიყო, გამწმენდი ნაგებობები. მწყობრში მხოლოდ 1980 წელს უნდა ჩადგეს. აფხაზეთის ასსრ ავტომეურნეობებში ჩამდინარე წყლების გაწმენდის ნაგებობათა მშენებლობა № 16 ტრესტმა 1971 წლიდან მიატოვა და არაფერს არ აკეთებს.

ტყვარჩელის ქვანახშირის გაერთიანებისა და საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ტრესტ „შახტმშენის" მიერ ჩაშლილია დავალება მდინარე ღალიძეში გაუწმენდავი ჩამდინარე წყლების ჩაშვების სრული შეწყვეტის შესახებ. ასევე არადამაკმაყოფილებელია ტყვარჩელის საცხოვრებელი დაბების კანტუხის, აკარმარისა და მახმეს კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობის ტემპები, რომელსაც აღნიშნული გაერთიანების სამშენებლო-სარემონტო სამმართველო აბორიცეულებს.

სამუშაოთა სუსტი ორგანიზაციის შედეგად ტრესტ „საქომუნსაეცმშენის" წულუკიძის სპეციალურმა სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველომ ჩაშალა კურორტ საირმის კანალიზაციის გამწმენდ ნაგებობათა ამოქმედების ვადა. ძალზე ჩამორჩენა ტყიბულის საკანალიზაციო კოლექტორისა და გამწმენდ ნაგებობათა მშენებლობა, რომელსაც „ტყიბულშახტმშენის" სამმართველო აწარმოებს.

ჩაიშალა ჟინვალ-თბილისის საკანალიზაციო კოლექტორის ექსპლოატაციაში ჩაბარების ვადა. ძალზე საეჭვოა მდგომარეობაშია თვით მტკვრის მოგლა-პატრონობისა და დაცვის საქმე.

აღსანიშნავია, რომ ამ საქმეში მეღინარე ეკლიმატის, მთელი ზღვის სანაპიროს ბუნებრივ სიკეთეს ზოგიერთნი სიკეთითვე, როდი უპასუხებენ. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა აფხაზეთში. ქალაქ სოხუმის საწარმოო ნარჩენებით ყოველდღიურად დიდძალი გაბინძურებული წყალი ჩადის შავ ზღვაში. ასევე ჩაედინება ტყვარჩელის, ოჩამჩირის, გუდაუთის. გულრიფშის და სხვა ქალაქების ფეკალური წყლები. ანალოგიური მდგომარეობაა აჭარის სანაპირო ზოლსა და ქ. ფოთში. ქ. ბათუმში დღეღამის განმავლობაში ნაგსაადგურის ტერიტორიაზე ზღვაში ჩაედინება ათასობით კუბური მეტრი გაუწმენდავი სითხე, რომელიც დიდი რაოდენობით შეიცავს ნავთობპროდუქტებს და სხვა მავნე ნივთიერებებს.

ეულგრილობა გამოიჩინეს აგრეთვე აფხაზეთის ასსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სარემონტო-სამშენებლო კანტორისა და საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ტრესტ „სპეცმშენის" № 20 მოძრავი მექანიზებული კოლონის ხელმძღვანელებმა. ეს ორი მშენებელი ორგანიზაცია შარშან მთელი წლის მანძილზე გართულ. იყო ქ. სოხუმის რუსთაველის და წულუკიძის ქუჩების საკანალიზაციო კოლექტორის მშენებლობის ერთიდან მეორე ორგანიზაციისათვის გადაცემასთან დაკავშირებულ მიწერ-მოწერით.

